წერილის ნომერი:**05-682210553**
თარიღი: **15/04/2022**

**ადრესატი:**

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**1.** საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარე წლის 01/04 N **68-68220914** მომართვით გადმოგეგზავნათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 01.04. N ბ68.68220912 ბრძანება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მარტის N 527 განკარგულებით საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მირონწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 255 906 ლარის 2022 წლის ბიუჯეტში ასახვას. დან. N 1

2. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 188 პროექტის თანადაფინანსებისათვის საჭირო 318 000 ლარის შესავსებად დან. N 2 საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტში მოხდეს პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის ცვლილება, ამასთან აღნიშნული პროგრამების თანხები სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყენებული იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

კერძოდ შემცირდეს:

ა) წყლის სისტემის განვითარების პროგრამა 200 000 ლარით. მ. შ. სასმელი წყლის უზრუნველყოფა - 190 000 ლარით, კანალიზაციის სისტემებში (სანიაღვრე არხების მოწყობა - 10 000 ლარით.

ბ) მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციის პროგრამა - 30 000 ლარით.

გ) დარჩენილი სხვაობა 88 000 ლარი მიმართული იქნას 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

3. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 15/01 N 02 -682210547 მომართვით აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარების გასაწევად დამატებით საჭიროა 35 000 ლარი. დან. N 3

4. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ა(ა)იპ-ების მომართვების თანახმად ახალი

ვალდებულებების ასაღებად დამატებით საჭიროა 42 000 ლარი, რომლის დაფინანსების წყაროდ ასევე გამოყენებული უნდა იქნას 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი. კერძოდ:

- ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 2022 წლის 17/03 N 12 მომართვის თანახმად, ცნობილი დრამატურგის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის - კიტა ბუაჩიძის ძეგლის დასადგმელად ესაჭიროება 12 000 ლარი. დან. N 4;

- ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების 2022 წლის 15/04 N 15-682210549 წერილის თანახმად მეწყერისა და სხვა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დაზიანებული გზების გასაწმენდად დამატების ესაჭიროება - 20 000 ლარი. დან. N 5;

- ა(ა)იპ სპორტისა და ტურიზმის ცენტრის 2022 წლის 15.04. N 24 მომართვით თავისუფალი ჭიდაობის სექტორის გაძლიერებისა და პოპულარიზაციის მიზნით მოწვეული კონსულტანტების შრომის ანაზღაურებისათვის დამატებით ესაჭიროება - 10 000 ლარი. დან. N 6

სულ 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან გამოყენებული იქნას 165 000 ლარი.

**საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 16 205 432 ლარი იზრდება 255 906 ლარით საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 16 461 338 ლარით.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 19 292 400 ლარი იზრდება 420 906 ლარით და განისაზღვრება 19 713 306 ლარით.**

გადასახდელების ზრდის წყაროა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 255 906 ლარი; **და** 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 165 000 ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი